გეშტალტი - Gestalt - Гештальт (გერმ. Gestalt)

მოწესრიგებული და ფონიდან გამოკვეთილი მთლიანობა, დასრულებული, რომელიც შინაგანად განაწევრებულია. **გ**-ის მთავარი თავისებურება ისაა, რომ იგი არ დაიყვანება მისი შემადგენელი ნაწილების ჯამზე. წარმოვიდგინოთ, მაგ. მელოდია. არცერთი მელოდია არ დაიყვანება მისი შემადგენელი ბგერებისა და თუნდაც მათ შორის თანაფარდობათა ჯამზე [მ. ვერტჰაიმერი]. ასევე, მაგ., ვარდის სუნი არ დაიყვანება მის შემადგენელ ნივთიერებათა სუნების ჯამზე. ტექსტის შინაარსი არ დაიყვანება მისი შემადგენელი ენობრივი ერთეულების, სიტყვების მნიშვნელობათა ჯამზე. მელოდიაც, ვარდის სუნიც, ტექსტის შინაარსიც – **გ**-ის მაგალითებია [იხ. აგრეთვე **თანდაყოლილი გეშტალტ-ხატები; გეშტალტიზაცია**].

გ-ის მთავარი თვისებაა მთლიანობა; **გ** იმ თვისებრიობას შეიცავს, რომელიც არაა მის შემადგენელ ნაწილებში. თუმცა ფსიქიკაში სხვაგვარი, **დიფუზური** მთლიანობებიც არსებობს [**ფ. კრიუგერი, ვ. შტერნი**]. მათგან და პირველადი **სინკრეტული** მთლიანობისგან განსხვავებით, **გ** არა ერთგვაროვანია, არამედ – **დიფერენცირებული**, შინაგანად განაწევრებული.

გ-ის ცნება ძირითადად **გეშტალტფსიქოლოგიაშია** დამუშავებული. ეს ცნება თავისებურადაა გადამუშავებული და გამოყენებული **გეშტალტთერაპიაში.**